ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №5

დ. ჩოხატაური *29 აპრილი 2015 წელი*

სხდომის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარულიძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ოთარ სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, უშანგი ართმელაძე, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, დავით გუდავაძე, დავით ტრაპაიძე, მარინე ბერაძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, დავით შარაშიძე, ზვიად მამალაძე, მაია პაიჭაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, შალვა ჩანტლაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოდერძი გოგიშვილი, არჩილ სიხარულიძე, ქეთევან სიხარულიძე, რამაზ უჯმაჯურიძე, ალექსანდრე შარაშიძე, მალხაზ ჩხიკვაძე, კლოდი მდინარაძე.

შშმ პირები: ნინო ლომთათიძე, თამუნა ლურსმანაშვილი, გიორგი ტრაპაიძე.

არ ესწრებოდნენ: ზაალ მამალაძე, მაია გიორგაძე, გია გვენეტაძე, რომან ჯულაყიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

გია გიორგაძე - ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

თეა უჯმაჯურიძე - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

გელა ლომინეიშვილი - საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ფრაქციის „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.
2. ა (ა)იპ კულტურის ცენტრის წესდებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ თანხმობის მიცემის შესახებ.
3. ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

6. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

7. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

8. “ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

9. „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

10. 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

11. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 34 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ფრაქციის „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ა (ა)იპ კულტურის ცენტრის წესდებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

3. ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარის“ დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

6. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

7. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

8. “ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

9. „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

10. 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

11. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

I საკითხი: ფრაქციის „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მოისმინეს:

1. ფრაქციის „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> მალხაზი ჩხიკვაძემ, მაია პაიჭაძემ, ზვიადი მამალაძემ.

II საკითხი: ა (ა)იპ კულტურის ცენტრის წესდებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ თანხმობის მიცემის შესახებ.

მოისმინეს:

2. ა (ა)იპ კულტურის ცენტრის წესდებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> მარინე ბერაძემ, ქეთევან სიხარულიძემ, დავით შარაშიძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ა (ა)იპ კულტურის ცენტრის წესდებაში ცვლილებაში შეტანის შესახებ თანხმობის მიცემის შესახებ.

III საკითხი: ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მოისმინეს:

3. ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

მამია ბარამიძემ (ენმ) - აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, რომელიც შ.პ.ს. „აგრალური ბაზრის“ დაფუძნებას ეხება, განკარგულების პროექტს თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი, რომელშიც ასახული იქნება ის ეკონომიკურ-ფინანსური გათვლები, რომელიც შესაძლებლობას მომცემდა მემსჯელა აღნიშნული ფორმით მისი დაფუძნების თაობაზე. უცნობია არქიტექტურული პროექტიც, ან კიდევ ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ფიტო-სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით განკარგულებას მხარს არ დავუჭერ.

დავით ტყეშელიაძემ - პროექტის ავტორს მიმართა კითხვით, ჩოხატაურის აგრარული ბაზრის დაფუძნების შემთხვევაში მაინტერესებს რამდენი ადამიანი დასაქმდება, რა

რაოდენობის თანხები შემოვა ბიუჯეტში და საერთოდ გათვალისწინებულია თუ არა პარკირების მოწყობა.

ოთარ სოროზანაშვილმა აღნიშნა, რომ მაშინ როცა აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა აუქციონის ფორმით ნაკვეთების პრივატიზება, იფიქრა კი ვინმემ რომ აღნიშნულ ნაკვეთებზე სავაჭრო ობიექტების მშენებლობის შემთხვევაში შეიზღუდებოდა ფეხით მოსიარულეთა თუ ტრანსპორტით გადაადგილება?

მაია პაიჭაძემ - ბატონებო, ჩვენ წარმოვადგენთ ხელისუფლებას და ჩვენი მოვალეობაა მოსახლეობის ინტერესების დაცვა და აღებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა.

დღევანდელი მოცემულობით აგრალური ბაზრის ფუნქციონირება არავითარ სამართლებრივ ჩარჩოში არ ზის, რომ არაფერი ვთქვათ იმ მოუწესრიგებელ ინფრასტუქტურაზე, რომელიც წლების განმავლობაში რაიონის მოსახლეობისთვის აქილევსის ქუსლად იქცა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ორი გზა არსებობს: შეიქმნას შპს და განხორციელდეს კერძო ინვესტირება. ეს უკანასკნელი მოითხოვს დროს, საჭიროა მოძიებული იქნას ინვესტორი, რომელიც გადაიხდის 450000 ათას ლარს, (აგრალური ბაზარი ფუნქციონირებს თვეში ოთხჯერ, იშვიათად ემატება სადღესასწაულო დღე) რაც რეალობასთან, ვფიქრობ, რომ ახლოს არ არის, მითუმეტეს რომ ინფრასქტურული პრიორიტეტების დოკუმენტით დავამტკიცეთ ბაზრის რეაბილიტაცია, რაზედაც გამოყოფილია თანხა. აქედან გამომდინარე სწორედ ამ ეტაპისთვიას უპრიანია შპს-ს შექმნა, როცა საკრებულოს ექნება მონიტორინგის უფლება. რათქმაუნდა ეს არ იქნება იდეალური ვარიანტი მაგრამ მინდა მარტივი მაგალითი მოგიყვანოთ სამედიცინო პრაქტიკიდან. ჩვენ ვყიდულობთ პრეპარატს ანოტაციით და სწორედ ანოტაციაში ყველაზე დიდ მონაკვეთს გვერდითი მოვლენები იკავებს, შეიძლება პრეპარატის მიღებაც კი გადავიფიქროთ მაგრამ მაინც ვიღებთ იმდენად მნიშვნელოვანია მისი ძირითადი ეფექტი და იმდენად კარგად მოქმედებს სამიზნე ორგანოზე ვფიქრობ, რომ შპს-ს შექმნასაც ექნება ხარვეზები მაგრამ ჩვენს მოქალაქეებს არ მოუხდებათ მოუხდებათ შრომა წყლის გუბეებში.

თუ კი მივიღებთ შპს-ს შექმნის გადაწყეტილებას, კომპეტენტური და ეფექტური კონტროლის პირობებში დაიხვეწება პროცესები, სწორი მენეჯმენტი იქნება ინდიკატორი მიმდინარე სამუშაო გარემოს ფუნქციონირებაზე, მითუმეტეს, როცა გამოასცდელ ვადაზეა საუბარი.

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ არ არის წარმოდგენილი ეკონომიკურ-ფინანსური დასკვნა, დაფუძნების შემთხვევაში უცნობია თუ ვინ უზრუნველყოფს ლაბორატორიული კვლევების ჩატარებას სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით და სოციალური კუთხით

გაიზრდება თუ არა მომსახურების თანხები, რის გამოც აღნიშნულ განკარგულებას მხარს ვერ დავუჭერ.

დავით შარაშიძემ - მიზანშეწონილად მიმაჩნია, ყოველ შემთხვევაში ჩემი სუბიექტური აზრია, მოძიებული იქნას ინვესტორი გაყიდული იქნას აგრალური ბაზარი და ხელშეკრულებით იქნას გაწერილი პირობები.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი – 3 (მ. ბარამიძე (ენმ), ი. ახობაძე, ე. უღრელიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ.

IV საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

დავით შარაშიძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის აგრარული ბაზრის მშენებლობა უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა, ვიდრე შშმ პირების დახმარება. მიუხედავად „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის განხორციელებისა, დაუშვებლად მიმაჩნია გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში ლიფტის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 50000 ლარის სხვა დანიშნულებით გამოყენება, მით უფრო, რომ შშმ პირებისათვის მისი ფუნქციონირება აუცილებელია. თავის მართლება თითქოსდა ზემდგომის მითითებით მოხდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხების სხვა მუხლში გადატანა შშმ პირებისადმი თქვენს მიერ დამოკიდებულების ნათელი გამოხატულებაა. თუ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ იქნება გამგეობის

შენობაში ლიფტის მშენებლობისათვის თანხების გამოყოფა, წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დავუჭერ.

მაია პაიჭაძემ აღნიშნა, რომ ვადასტურებ თქვენდამი და შშმ პირებისადმი ღრმა პატივისცემას და მინდა აღგითქვათ, რომ საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს მთლიანი შემადგენლობა ბიუჯეტის მოცემულობიდან გამომდინარე იქნება თქვენი აქტიური მხარდამჭერი ამ იდეის განხორციელების საქმეში.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

V საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> აკაკი ყაჭეიშვილმა, ქეთევან სიხარულიძემ, რამაზ უჯმაჯურიძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

VI საკითხი. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

6. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვეს: აკაკი ყაჭეიშვილმა, შალვა ჩანტლაძემ, გოდერძი გოგიშვილმა, მაია პაიჭაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

VII საკითხი. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

7. „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> მაია პაიჭაძემ, არჩილ სიხარულიძემ, რამაზ უჯმაჯურიძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

VIII საკითხი. “ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

8. “ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით გუდავაძემ, მანანა მინდაძემ, მალხაზი ჩხიკვაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: "ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით" გათვალისწინებული სანქციები" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

IX საკითხი: „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

9. „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> მაია პაიჭაძემ, შალვა ჩანტლაძემ, ალეკო კვინტრაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების დადგენის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

X საკითხი: 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

მოისმინეს:

10. 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

აზრი გამოთქვეს: მალხაზ ჩხიკვაძემ, დავით გუდავაძემ, დავით ტყეშელიაძემ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 34

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ.

XI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მოისმინეს:

11. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

აზრი გამოთქვეს:

მაია პაიჭაძე - აღნიშნა, რომ 2014 წელში გაცილებით მეტი მუშაობა იყო საჭირო ქონებრივი ნუსხის სრულყოფისათვის, რაც საშუალებას მოგვცემდა მუხლში - „არაფინანსური აქტივები“ მოხვედრილიყო უფრო მეტი ობიექტი შემდგომი პრივატიზებისათვის. მომავალში უნდა გაგრძელდეს მუშაობა, რომ მოხდეს აღურიცხავი ქონების რეგისტრაცია. (საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ თან ერთვის).

მამაია ბარამიძე (ენმ), ირაკლი ახობაძე - აღნიშნეს რომ წარმოდგენილ ანგარიშში სრულყოფილად გაშიფრული არ არის ხარჯვითი ნაწილი, რაც საშუალებას არ იძლევა საკითხთან დაკავშირებით მსჯელობის, რის გამოც ჩვენს მიერ მხარდაჭერილი არ იქნება აღნიშნული განკარგულების პროექტი.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 32

წინააღმდეგი – 2 (მ. ბარამიძემ (ენმ), ი. ახობაძემ)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 34 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, საკრებულოს წევრებმა ოთარ სოროზანიშვილმა, დავით ტყეშელიაძემ გამგებლის წარმომადგენელს (გელა ლომინეიშვილი) განმეორებით შეახსენეს თუ რატომ არ მოხდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს თანხების გამოყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დაბაში, ადგილობრივი საავტომობილო გზების და საგზაო მოძრაობის დაგეგმარების და პარკირების წესების დადგენა. რის გამოც სამარშუტო მიკროავტობუსების და ტაქსების მძღოლები, მოქალაქეები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე *ვლადიმერ სიხარულიძე*